

# განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორია სხვადასხვა სისტემის ენებში

ჩარკვიანი ნუნუ – ასისტენტ-პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი, აკაკი  
წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

## Definiteness/Indefiniteness in the Languages of Different Systems

*Charkviani Nunu* – Assistant Professor, Department of English Philology, Akaki Tsereteli State University,  
Kutaisi, Georgia

### Abstract

**Introduction and aim:** The main goal of this article is to point out similarities and differences between Georgian and English languages in respect of expressing definiteness / indefiniteness. 1. Define the category of definiteness/indefiniteness in source languages (English, Georgian), Work out their functional-semantic typology. 2. Define peculiarities of functioning of markers of this category in both languages considering the peculiarities of English and Georgian communicative situations.

**Research methodology:** We apply to contrastive and descriptive methods for the study of the phenomena of definiteness and indefiniteness.

**Results and implications:** Practical value of the result of the research lies in the fact that it can be used at higher educational Institutions for courses of contrastive linguistics; It will help language learners to improve their skills in English and to be able to translate from English into Georgian and from Georgian into English.

**Conclusion:** In spite of the fact that English and Georgian are languages of different systems they have similar meanings of definiteness and indefiniteness. Though the origin of definite article "the" comes from demonstrative pronoun "that" in English and indefiniteness (a/an) is introduced by a numeral "one"(old form "an") nowadays English language has got established markers of abovementioned category while Georgian has varied pronouns to express it.

**Keywords:** contrastive, descriptive, peculiarities definiteness, indefiniteness

Process of delivering information through communication is based on a number of categories. The main component of them is the category of definiteness / indefiniteness.

Article that lies in the centre of functional-semantic field of referentiality is the main realizer of this category. It is characteristic for many languages but only with different forms.

In linguistics definiteness is a semantic feature of noun phrases, distinguishing between referents that are identifiable in a given context (definite noun phrases) and entities which are not (indefinite noun phrases) in English. Here definiteness is usually by the selection of determiner. Certain determiners, such as a/an, many, any, either and some typically mark as NP as indefinite. Others including this, every and both mark the NP as definite. In other languages definiteness is indicated by affixes, prefixes, by distinct verbal forms.

The main goal of this article is to point out similarities and differences between Georgian and English languages in respect of expressing definiteness / indefiniteness. Both foreign and Georgian linguists state that some markers of definiteness in Old literary Georgian were represented by particles (ესე, ეგე, იგი, ისი) that changed their function, became "natsevari", (ნაწევარი) to show definiteness. They were found with nouns in prepositional and postpositional order. Indefiniteness was indicated by numeral "one" (ერთი) and indefinite pronouns "somebody", "something" (ვინმე,

რაიმე). Apart from the old literary Georgian, "natsevari" was remained in the poems of Iliia Chavchavadze. Different examples from old and IX century Georgian Literature show it perfectly.

In spite of the fact that English and Georgian are languages of different systems they have similar meanings of definiteness and indefiniteness. Though the origin of definite article "the" comes from demonstrative pronoun "that" in English and indefiniteness (a/an) is introduced by a numeral "one"(old form "an") nowadays English language has got established markers of abovementioned category while Georgian has varied pronouns to express it.

კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მიწოდების პროცესი ეფუძნება კატეგორიათა ერთობლიობას, რომელშიც ძირითად როლს რეფერენცია და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიები ასრულებენ.

რეფერენცია, როგორც ლინგვისტური ფენომენი თანამედროვე ლინგვისტიკაში უკავშირდება არსებითი სახელის ტექსტობრივ სტატუსს, ხოლო არტიკლის ფენომენი ცენტრალურ როლს ასრულებს ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის შექმნაში, რადგან იგი ამ სტატუსის ძირითად რეალიზატორად გვევლინება.

რუსი მეცნიერის ნ. არტიუნოვას გადმოცემით „რეფერენცია განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით: სინტაქსურით, ლოგიკურ-სემანტიკურითა და პრაგმატიკულით. რაც შეეხება პრაგმატიკულ ასპექტს იგი უკავშირებს სახელს მოსაუბრეთა ცოდნის ფონს. შეიძლება ლაპარაკი იყოს ისეთ საგანზე, რომელიც ცნობილია მხოლოდ მეტყველი პირისათვის (ინტრადუქციული რეფერენცია..., ისე ადრესატისათვის (მოდენტიფიცირებული რეფერენცია), ან თუნდაც ისეთზე, რომელიც არცერთი მათგანისათვის არ არის ცნობილი (განუსაზღვრელი რეფერენცია) (Н. Артюнова, 1990, 411).

რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცენტრში მოქცეული განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიის გამომხატველია სწორედ არტიკლი, რომელიც ბევრ ენას ახასიათებს, მაგრამ გადმოცემის ფორმები სხვადასხვაა.

არტიკლის ფუნქციურ გააზრებას საფუძველი ედება კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში: „არტიკლი ტრადიციულად განისაზღვრებოდა როგორც ისეთი მორფემა, რომელიც ახლავს არსებით სახელს და გამოხატავს მის კატეგორიებს (რიცხვს, სქესს, განსაზღვრულობას). კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ხდება როგორც არტიკლის, ისე მის მიერ გამოხატული კატეგორიების პრაგმატიზაცია.

„ძირითადი კატეგორია, რომელსაც არტიკლი გამოხატავს, განსაზღვრულობა / განუსაზღვრელობის კატეგორიაა. რას ნიშნავს ამ კატეგორიის პრაგმატიზაცია? რას

ეყრდნობა ადრესანტი, როდესაც იგი ხმარობს არსებით სახელს განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლით? იგი ეყრდნობა ადრესანტის „ცხოვრებისეული გამოცდილების“ ცოდნას, რომელიც მას აქვს“ (ლებანიძე, 2004, 289).

პროფ. მ. მეგრელიშვილის წიგნში "A Course in Theoretical English Grammar" ვკითხულობთ: „არტიკლის არჩევანი შეიძლება განპირობებული იყოს წინადადების სტრუქტურით. როგორც წესი, წინადადება დაიყოფა ორ ნაწილად: თემა (ცნობილი) და რემა (ახალი).

There was a top at the door and a small elderly man entered the Room (Robbins)

ის, რასაც ცნობილს უწოდებენ, შეიცავს ძველ ინფორმაციას, იგი ნაცნობია როგორც მეტყველი პირისათვის, ასევე მსმენელისათვის, ანდა მეტყველ პირს მიაჩნია რომ ეს ასეა ....., მაგრამ თუკი არსებითი სახელი ახალ ინფორმაციას გადმოსცემს, ის განუსაზღვრელ არტიკლს ღებულობს (Megrelishvili, 2005, 43).

განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა თითქმის ყველა ენას ახასიათებს, „ზოგიერთ ენაში იგი არსებითი სახელის მორფოლოგიურ კატეგორიად ითვლება. სხვადასხვა ენას მისი გამოხატვის სხვადასხვა ფორმა აქვს. ზოგიერთ სკანდინავიურ ენაში იგი არსებით სახელზე სპეციფიკური სუფიქსების დართვით გადმოიცემა, სემანტიკურ ენებში განსაზღვრულობას მდგომარეობის კატეგორია უკავშირდება, რადგან ამ ენებში მდგომარეობის სამ მორფოლოგიურ მდგომარეობას გამოყოფენ: განუსაზღვრელს (აბსოლუტურს), განსაზღვრულს (ემფატიკურს) და კონსტრუქციულს. ასეთივე სისტემა აქვს ძველ არაბულსაც. (Aramaic). ზოგიერთ სემანტიკურ ენაში, როგორცაა ჰიბრუ ან არაბული, განსაზღვრულობის ორგვარი გამოხატვის ფორმაა. მდგომარეობის კატეგორია იმასთანაა დაკავშირებული არსებით სახელს საზღვრავს რაიმე (ე. ი. კონსტრუქციულ მდგომარეობაში)თუ არა (ე. ი. თავისუფალ მდგომარეობაში)“. (wikipedia).

„ენათმეცნიერებაში განსაზღვრულობა სახელადი ფრაზების სემანტიკური თვისებაა, სადაც რეფერენტი ან იდენტურია მოცემულ კონტექტში (განსაზღვრული სახელადი ფრაზები) ან არაიდენტური (განუსაზღვრელი სახელადი ფრაზები). ინგლისურში მაგალითად, განსაზღვრული სახელადი ფრაზები პასუხობენ კითხვაზე "which one?"“

განსაზღვრულობის გამოხატვა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება ენებში, ზოგიერთი ენა კი საერთოდ არ გადმოსცემს მას. ინგლისურში განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა ჩვეულებრივ დეტერმინატორების მეშვეობით ხორციელდება. გარკვეული

დეტერმინატორები a/an, many, any, either, some განუსაზღვრელობის ტიპური მარკერებია, ხოლო სხვები როგორცაა the, this, every, both გამოიყენება განსაზღვრელობისათვის. ზოგიერთ ენაში მარკერი ფონოლოგიურ ნიშნად გვევლინება, რაც არსებით სახელზეა დართული ან განმსაზღვრელ ზედსართავ სახელზე. (ჰიბრუ და არაბული)აქ საქმე გვაქვს გრამატიკული რიცხვისა და გრამატიკული ბრუნვის გამოხატვასთან, რაც გერმანულ და ფრანგულ ენებსაც ახასიათებს“. (wikipedia).

ბგერათმედგენილობის მიხედვით შეიძლება იგი მხოლოდ ერთი ბგერისაგან შედგებოდეს. ეს უკანასკნელი შეიძლება ხმოვანიც იყოს და თანხმოვანიც. ხშირია ორ და სამბგერიანი ნაწევარიც. უფრო იშვიათია ორმარცვლიანი (იტ. lino, una, პორტ. una, ქართ. ეს, ეგე, იგი, ერთი და სხვა).

სტატიის ძირითადი მიზანი მაინც აღნიშნული კატეგორიის შედარებაა ინგლისურსა და ქართულ ენებში, ენებში რომლებიც სხვადასხვა სისტემით ხასიათდებიან. ინგლისურში განსაზღვრელობა/განუსაზღვრელობა ფორმაუცვლელი სიტყვისა თუ ნაწილაკის საშუალებით გადმოიცემა. განსაზღვრული ნაწევარი the და განუსაზღვრელი ნაწევარი an უკვე ფორმაუცვლელ სიტყვებად ქცეულან. ინგლისურის ორი ტიპის (განსაზღ. და განუსაზღ) არტიკლი მკვეთრად ინარჩუნებს უპირობო აუცილებლობას წარმოვაჩინოთ ესა თუ ის სახელი განსაზღვრულად ან განუსაზღვრელად. ქართულ ენაში კი მდგომარეობა ასეთია: „დიონისე თრაკიელის გრამატიკაში დასახელებული 8 მეტყველების ნაწილიდან ერთ-ერთი ნაწევარია ანუ ართრონი. ამ კლასიფიკაციით მხედველობაში იყო მიღებული როგორც სიტყვის მნიშვნელობა, ისე ფორმა. ბერძნებისაგან მეტყველების ნაწილთა ასეთი კლასიფიკაცია აიღეს რომაელებმა და გარკვეული შესწორების შედეგად ლათინურს მიუყენეს, სადაც სახელს ნაწევარი არ დაერთოდა. ასეთი მოძღვრების გამოყენება დაიწყო ყველა ინდოევროპული და არაინდოევროპული ენისათვის“. (ფეიქრიშვილი, 2010, 14). თანამედროვე ტრადიციულ კლასიფიკაციაში ნაწევარი სულ მთლად გაქრა. ინგლისურ ენაში იგი არტიკლმა შეცვალა, ხოლო ქართულში განსაზღვრელობა/განუსაზღვრელობის კატეგორიის აღმნიშვნელი ნაწევარი მხოლოდ ძვ. ქართულის კუთვნილებად დარჩა (თუ არ ჩავთვლით მე-19 საუკუნის ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებს). ამ საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით მივმართეთ შესაძარებელ ენებში აღნიშნული კატეგორიის ისტორიული განვითარების ეტაპებს.

განსაზღვრული არტიკლი ძველ ინგლისურში ჩნდება, ხოლო განუსაზღვრელი საშუალო ინგლისურის კუთვნილებაა. კ. ილიშის სახელმძღვანელოში „ინგლისური ენის ისტორია“ - "History of the English Language" აღნიშნულია, რომ „ზემოთმოცემული შესიტყვება თანამედროვე ლინგვისტური თეორიებით უნდა იყოს გამყარებული, თუმცა არის მოსაზრება, ვიფიქროთ, რომ განსაზღვრული არტიკლი ენაში იმ პირობით შეიძლება არსებობდეს, თუკი ამავდროულად მეორე არტიკლიც გვაქვს - განუსაზღვრელი არტიკლი. ორი ცნება „განსაზღვრული“ და „განუსაზღვრელი“ მხოლოდ მაშინ ითვლება მართებულად, თუკი ოპოზიციის წევრები განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობაზეა დაფუძნებული.

ცხადია, განუსაზღვრელი არტიკლი გაჩნდა საშუალო ინგლისურში და იგი მივიღეთ რიცხვითი სახელისაგან „ერთი“ "One" ("an" - საშუალო ინგლისურში). ეს დებულება იმდენად აშკარაა, რომ მის შესახებ არავინ არ დავობს. განსაზღვრული არტიკლი, რომელიც ძველ ინგლისურს უკავშირდება ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს. თავდაპირველად ნაცვალსახელი sepe - წარმოადგენდა ჩვენებითი ნაცვალსახელისა და რელატიურის ნაერთს. შემდეგში მას მეორე მარცვალი ჩამოცილდა და მივიღეთ se, საიდანაც დაფიქსირდა განსაზღვრული არტიკლი. უმჯობესია ვთქვათ, რომ ძველ ინგლისურში არსებობდა არტიკლი და უარტიკლობა. ამ ოპოზიციის არტიკლი იყო მარკირებული და არტიკლის უქონლობა არამარკირებული, საბოლოო ჯამში საშუალო ინგლისურში ორი სახის არტიკლის გამოჩენამ შექმნა არტიკლის სისტემა“. (Ilysh, 1973, 76).

თუკი ძველი ქართული სალიტერატურო ენის მაგალითებს გადავხედავთ, ადვილად მივხვდებით, რომ განსაზღვრულობა და განუსაზღვრელობა აქ ნაწევარით იქნა გადმოცემული. იმნაიშვილის სტატიაში ვკითხულობთ „არსებითი სახელი განუსაზღვრელადაა გაბატონებული მაშინ, როცა ის კონტექსტში პირველადაა მოხსენიებული, მის შესახებ არა ვიცით რა, განსაზღვრულად კი მაშინაა მოცემული, როცა ამ სახელის შესახებ უკვე იყო საუბარი, მის შესახებ რაიმე უკვე ვიცით, ან პირველადაა ნახსენები, მაგრამ იქვეა მითითებული მისი ზოგიერთი ნიშანი თუ თვისება, განუსაზღვრელობის შემთხვევაში სახელს დაერთვის ე. წ. განუსაზღვრელობითი ნაწევარი „ერთი“, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი „ვინმე“, ან კიდევ სრულიად უნაწევროდ იხმარება; განუსაზღვრელობის დროს კი ამ სახელს ე. წ. განუსაზღვრელი ნაწევარი დაერთვის: ესე, ეგე, იგი“. (იმნაიშვილი, 1955, 251).

მაგ.: 1. დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა (ქართული პროზა I, 1981, 16).

2. სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობლად ეკლესიასა. (იგივე, 9).

3. ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი (იგივე, 16).

თუკი სულიერ არსებით სახელთან „ვინმე“ იხმარებოდა, უსულოსთან გვხვდება განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „რაიმე“.

4. ვიცი სხვაიცა რაიმე გოდებაჲ იერემიასი (იგივე, 498).

სისტემატიურია ნაწევარის შეთანხმება არსებით სახელთან ბრუნვაში

5. ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყვად მისა (იგივე, 8).

განსაზღვრულობის გამოხატვა, როგორც უკვე ითქვა განუსაზღვრელი ნაწევრით გადმოიცემოდა

6. - მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი (იგივე, 14).

7. წარიტანა ევანგელე თავისი და წმინდანი იგი წიგნნი მოწამეთანი (იგივე, 12).

ძველ ქართულში ნაწევარს ზმნის შუაშიდაც ვხვდებით.

8. უკეთუმცა აღ-ვინმე-დგა კაცი (იგივე, 80).

„ნაწევარი ახალ ქართულში არ არის, მაგრამ ნაშთის სახით შემორჩენილია ის მე-19 საუკუნის ზოგიერთი მწერლის ენაში. ყველაზე დამახასიათებელი ამ მხრივ ილია ჭავჭავაძეა. მისი ლექსებისა და პოემების ენაში ძველი ქართულის ნაწევარის გადმონაშთს არც თუ ისე იშვიათად შევხვდებით“. (იმნაიშვილი, 1955, 273).

მაგ.: 1)- და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი

ვითა ლოცვასა მას გლოვისასა (ილ. ჭავჭავაძის თხზ, 1984,176).

2) ქვესკნელთ ძალითგან იგი მთა მედგრად

ცის გასარღვევად აღმოზიდულა (იგივე, 104).

3) და წყარო იგი წყაროდ შვებისა

სჩქეფდა იმ გულით გარდმოდგენილი (იგივე, 116).

4) სად უდაბურსა მას მყუდროებას

კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია (იგივე, 174).

5) - უჰ, უჰ, რა ცივა!... სთქვა მან სტუმარმან

ლამის გავშემდე სიცივისაგან (იგივე, 180).

6) მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის

დაბლად ღულუნნი დაღონებული (იგივე, 114).

როგორც ვნახეთ, ძველი ქართული ენის წიაღში დამკვიდრებულმა ნაწევარმა, რომელმაც განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობა გადმოსცა, თავი იჩინა მე-19 საუკუნის ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებებში, როგორც მისმა გადმონაშთმა და რომელსაც ძველი ქართული ნაწევარის არც შინაარსი გააჩნია და არც მისი ფორმის მიხედვითაა გამართული. ამჟამად იგივე კატეგორიის გამოხატვა იკისრა განუსაზღვრელობითა და ჩვენებითა ნაცვალსახელებმა ქართულ ენაში, ხოლო ინგლისური ენა აქტიურად იყენებს სათანადო არტიკლებს იმავე ფუნქციის შესასრულებლად.

მაშასადამე, შესადარებელ ენებზე დაკვირვებამ გვიჩვენა განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიის გამოხატვის საკითხში, როგორც მსგავსება, ისე განსხვავება ორივე ენის განვითარების მთელ მანძილზე. ისინი ავლენენ კატეგორიის ფორმირების სხვადასხვა ეტაპს. შესადარებელ ენებში აღნიშნული კატეგორია განსაზღვრული, ჩვენებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელებიდან იღებს სათავეს. ქართულში განუსაზღვრელობა გადმოიცემა რიცხვითი სახელით „ერთი“, მსგავსად ინგლისური არტიკლისა "a", რომელიც წარმოიშვა რიცხვითი სახელისაგან One (ძვ. ინგ. an). განსაზღვრულობა კი მომდინარეობს ძვ. ქართულის განსაზღვრული ნაწევრებიდან ესე, ეგე, იგი, ისი, რაც ადრე წარმოაგენდა ჩვენებით ნაცვალსახელებს. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ინგლისურის განსაზღვრულ არტიკლთან "the", რომელიც მომდინარეობს ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან "se".

ამჟამად განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორია სრულიად სხვადასხვა ფორმით გვხვდება ქართულსა და ინგლისურში, ქართულში ამ კატეგორიის გამოხატვა ზემოთ აღნიშნულმა ნაცვალსახელებმა იკისრა, რომლის მარკერი აღარ არის მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციაში, ხოლო ინგლისურის შესაბამისი არტიკლი მეტყველების ნაწილებშია და ასრულებს დეტერმინატორის ფუნქციას, არსებითი სახელი წარმოადგინოს ერთნაირად ცნობილ თუ უცნობს როგორც მეტყველი პირისათვის, ისე ადრესატისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. იმნაიშვილი ი. (1955), ნაწევარი ძველ ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1955 (249, 276) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ლებანიძე გ. (2004), კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი.

3. ონიანი ლ, (2008), თანამედროვე მხატვრული კულტურა და ინგლისურენოვანი წარატიული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა. (დისერტაცია). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 0175, საქართველო, ივლისი.
4. ფეიქრიშვილი ჟ. (2010). ქართული ენის მორფოლოგია (მეორე გამოცემა), ქუთაისი.
5. Артюнова Н., (1990) Логический анализ языка. Образ человека в культуре и языке, Москва.
6. Megrelishvili M., (2005) A Course in Theoretical English Grammar (for undergraduate Students), Kutaisi.
7. Ilysh B. (1973) - History of the English language, Издательство "Просвещение".

### **გამოყენებული მხატვრული ლიტერატურა**

1. თბილელი ა. „შუმანიკის წამება“, ქართული პროზა, წიგნი I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.
2. მერჩულე გ. - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981.
3. ჭავჭავაძე ი. - მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, თბზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, (1984).

### **ინტერნეტ-მასალა**

1. Definiteness (wikipedia) the free encyclopedia.